№ 3869/2-1
27.09.10

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

ფონდ "ივერიისა"-ს პრეზიდენტს
ბატონ პაატა ბურჭულაძეს

ბატონო პაატა,

საქართველოს პარლამენტის და პირადად ჩემი სახელით, მივესალმები და მხარს ვუჭერ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით თბილისში, მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის იდეას.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის აშენება იქნება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ქვეყნის სულიერი გამთლიანებისათვის, ხოლო ტაძრის მშენებლობაში მოსახლეობის აქტიური ჩართვა საშუალებას მისცემს ქართველ ერს, საკუთარი წვლილი შეიტანოს ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევაში.

აღნიშნული იდეა მით უფრო მისასალმებელია იმის გათვალისწინებით, რომ გარდა სულიერისა, ტაძარი ასევე იკისრებს ძალზე მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას. ის დაეხმარება ნარკოტიკებზე დამოკიდებულ ადამიანებს გაიარონ რეაბილიტაციის პროცესი და დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით მხარს ვუჭერთ თქვენს ინიციატივას, ტაძრის მშენებლობისათვის სპეციალური ფონდის – "ივერიისა" – შექმნის თაობაზე და მზად ვართ, მონაწილეობა მივიღოთ ამ კეთილშობილურ საქმეში.

ვფიქრობთ, ამ ინიციატივის მხარდაჭერა როგორც სახელმწიფო, ასე კერძო სექტორში დასაქმებული მოქალაქეებისაგან იქნება თითოეული ჩვენთაგანის შეტანილი წვლილი დიდი საერო და სასულიერო საქმის წარმატებით განხორციელებაში.

პატივისცემით,

დავით ბაქრაძე